23. შუბისპირი, რკინისა, № 22-ის ანალოგიური, დაზიანებულია, აკლია წვერი და მასრა. სიგრძე - 18 სმ. აღმოჩენილია № 5 სამარხში. ძვ.წ. V-III სს. [კალანდაძე 1953:33, ტაბ. VIII,22].

Spearhead, iron, analogous to # 22, length - 22cm., grave # 5, 5th- 3rd cent. BC.

24-26. შუბისპირი, რკინისა, 3 ც., აქვთ მოკლე პირი და გრძელი მასრა, რომელიც პირს ვიწრო და გრძელი, განივეკეთში ოთხკუთხა „წელით“ უკავშირდება, ქედიანი, მასრა კონუსურია, გახსნილი. სიგრძე - 43 სმ, 40 სმ, 41 სმ. აღმოჩენილია № 8 სამარხში. ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1953:34, ტაბ. IX,4-6, სურ. 12].

Spearheads with stem, iron, 3 pieces. They have short rhomboid blades and long sockets. The socket is connected with blade by narrow, long and tetrahedral in section waist. They have midribs as well, sockets are conical and open. Length – 43, 40 and 41 cm., grave # 8, 3rd-2nd cent. BC.

27. შუბისპირი, რკინისა, ხიშტისმაგვარი, აქვს ოთხწახნაგა, გრძელი პირი, რომელიც თანდათან ვი-

წროვდება წვერისკენ და მახვილი წვეტით ბოლოვდება, პირი მასრისგან “ყელით” არის გამოყოფილი, მასრაგახსნილია. სიგრძე - 50 სმ. აღმოჩენილია № 4 სამარხში. ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1953:32, ტაბ. VIII,18, სურ. 10].

Spearhead, Bayonet-like, length - 50 cm., grave # 4, 3rd-2nd cent. BC.

28. **შუბისპირი**, რკინისა, ხიშტისმაგვარი, მსგავსია № 27-სა. სიგრძე - 23 სმ. აღმოჩენილია № 10 სამარხში. ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1953:35, ტაბ. IX,14, სურ. 13].

Spearhead, Bayonet-like, length - 23 cm. Grave # 10, 3rd-2nd cent. BC.

29. **მახვილი**, რკინისა, აქვს სუსტად გაფორმებული ტარისთავი, ბრტყელი, შუაში ოდნავ შეზნექილი ტარის ღერო, დაქანებული მხრები, ბრტყელი, განიერი, წვერისკენ თანდათან დავიწროებული პირი. სიგრძე - 53 სმ. აღმოჩენილია №8 სამარხში. ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1953:34, ტაბ. IX,2].

Sword, iron, gradually narrowing blade towards its point, sloping shoulders and slightly formed pommel, length – 53 cm. Grave # 8, 3rd-2nd cent. BC.

30. **მახვილი**, რკინისა, აქვს სეგმენტისებრ განივცეთიანი ტარისთავი, რომელსაც აზის ოვალური კოპი, ტარის ღერო ბრტყელია, შუა ნაწილში დავიწროებული, ტარი და პირი ერთადაა გამოჭედილი, განიერი, წვერისკენ დავიწროებული პირი, ვადასთან შეიმჩნევა პეპლისებური დეტალის კვალი. სიგრძე - 43 სმ. აღმოჩენილია № 2 სამარხში. ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1953:29, ტაბ. VIII,2].

Sword, iron, with an oval knob on the pommel, flat hilt, blade and a handle are forged as one whole. Wide blade narrows towards the point. There is a trace of butterfly-like detail on the cross guard. Length - 43 cm. Grave # 2, 3rd-2nd cent. BC.

31. **მახვილი**, რკინისა, № 30-ის ანალოგიური. სიგრძე - 47 სმ. აღმოჩენილია № 5 სამარხში. ძვ.წ. V-III სს. [კალანდაძე 1953:33, ტაბ. VIII,21].

Sword, iron, analogous to # 30, length - 47 cm. Ggrave # 5, 5th-3rd cent. BC.

32. **მახვილი**, რკინისა, აკინაკი, აქვს ანტენისებური ტარისთავი, რომლის შვერილების ბოლოები ფრინველის თავის გამოსახულებებით არის დასრულებული, ტარის ღერო სადაა, ზემოთკენ გაფართოებული; პირი სამკუთხა მოყვანილობისაა, ვადაზე აქვს პეპლისებური დეტალი. სიგრძე - 29, 5 სმ, სიგანე მხართან - 6,2 სმ. აღმოჩენილია № 4 სამარხში. ძვ.წ. V-IV სს. [კალანდაძე 1953:32, ტაბ. VIII,19].

Sword, iron (akinake), with antenna-like pommel which is ended with images of birds, blade is triangular, cross-guard has a butterfly-like shape. Length – 29,5 cm., grave # 4, 5th-4th cent. BC.

33. **ცული**, რკინისა, აქვს მოკლე, ოთხნახნაგა ყუა, დაბრტყელებული ყუისთავი, ოვალური სატარე ხვრელი, რომლის გარეთა მხარე გამობერილია და ჰორიზონტალურად წაწვეტებული, პირს მოკლე, ოთხნახნაგა ყელით უერთდება, აქვს განიერი, თხელი, სიმეტრიული პირი. სიგრძე - 12 სმ, პირის სიგანე - 12 სმ. აღმოჩენილია № 2 სამარხში. ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1953:28, ტაბ. VIII,1].

Battle-axe, iron, with a short tetrahedral butt, an oval axe eye, narrow neck, wide, symmetrical cutting edge. H - 12 cm., grave # 2, 3rd-2nd cent. BC.

34. **ცული**, რკინისა, აქვს მაღალი, ვიწრო ყუა, ოვალური სატარე ხვრელი, გარეთა მხრიდან შესქელებული, ჰორიზონტალური გაზიდულობებით, ვიწრო და გრძელი, ოთხნახნაგა წელი, სიმეტრიული,

განიერი პირი. სიმაღლე - 17 სმ, პირის სიგანე - 10 სმ. აღმოჩენილია №4 სამარხში. ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1953:32, ტაბ. VIII,17].

Battle-axe, iron, with a high, narrow butt, an oval axe eye with horizontal, long, narrow, tetrahedral neck, wide, symmetrical, wide cutting edge. Length - 17 cm., grave # 4, 3rd-2nd cent. BC.

35. **ცული**, რკინისა, აქვს მოკლე, ოთხნახნაგა ყუა, დაბრტყელებული ყუის თავი, ოვალური სატარე ხვრელი, რომლის გარეთა მხარე გამობერილია და აქვს ჰორიზონტალური გაზიდულობანი, პირს გრძელი და ვიწრო, ოთხნახნაგა ყელით უერთდება, პირი მკვეთრად ასიმეტრიულია. სიმაღლე - 17 სმ, პირის სიგანე - 10 სმ, აღმოჩენილია №3 სამარხში, ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1953:31-32, ტაბ. VIII,10].

Battle-axe, iron, with a short tetrahedral butt, an oval axe eye, long, narrow neck, wide, asymmetrical cutting edge. Length - 17 cm., grave # 3, 3rd-2nd cent. BC.

36. **ცული**, რკინისა, ნაკლული, მოტეხილი აქვს ყუა. პირის სიგანე - 13 სმ. აღმოჩენილია №3 სამარხში. ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1953:31-32, ტაბ. VIII,11].

Battle-axe, iron, fragment, lacking the butt. Analogous to # 35, grave # 3, 3rd-2nd cent. BC.

37. **ცული**, რკინისა, ანალოგიურია № 35. სიმაღლე - 16 სმ. აღმოჩენილია № 5 სამარხში. ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1953:33, ტაბ. VIII,20].

Battle-axe, iron, analogous to # 35. Length - 16 cm., grave # 5, 3rd-2nd cent. BC.

38. **ცული**, რკინისა, ანალოგიურია №№ 35 და 37. სიმაღლე - 10 სმ, პირის სიგანე - 10 სმ. აღმოჩენილია № 6 სამარხში. ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1953:33, ტაბ. IX,15].

Battle-axe, iron, analogous to # 35, 37. Length - 10 cm., grave # 6, 3rd-2nd cent. BC.

39. **ცული**, რკინისა, ანალოგიურია №№ 35 და 37. სიმაღლე - 16 სმ, პირის სიგანე - 9 სმ. აღმოჩენილია № 8 სამარხში. ძვ.წ. III-II სს. [კალანდაძე 1953:34, ტაბ. IX,1].


Battle-axe, iron, analogous to # 35, 37. Length - 16 cm., grave # 8, 3rd-2nd cent. BC.

40. **ცული**, რკინისა, აქვს მოკლე ოთხნახნაგა ყუა და დაბრტყელებული, მასიური ყუის თავი, ოვალური სატარე ხვრელი, რომლის გარეთა მხარე შესქელებულია და მასზე წვეტიანი “გაზიდულობები” შეიმჩნევა, ასიმეტრიული პირი სატარეს ვიწრო ოთხნახნაგა წელით უერთდება. სიმაღლე - 16 სმ. აღმოჩენილია №12 სამარხში. ძვ.წ. IV-III სს. [კალანდაძე 1953:51, ტაბ. X,1].


Battle-axe, iron, has a short, tetrahedral butt and flattened, massive butt head, oval hole of handle, narrow neck is connecting head and asymmetrical blade. Length - 16 cm., grave # 12, 4th-3rd cent. BC

41. **ცული**, რკინისა, აქვს დაბალი, ოთხნახნაგა ყუა და დაბრტყელებული ყუის თავი, ოვალური სატარე ხვრელი, ოთხნახნაგა, მასიური ტანის ზედა ნაწილი გადადის ვიწრო და ასიმეტრიულ პირზე. სიმაღლე - 14,7 სმ, პირის სიგანე - 6 სმ, ყუის სიმაღლე - 2 სმ. აღმოჩენილია №10 სამარხში. ძვ.წ. ძვ.წ. V-IV სს. [კალანდაძე 1953:34-35, ტაბ. IX,13].

Battle-axe, iron, with a short, tetrahedral, flattened butt, an oval axe eye, narrow, asymmetrical cutting edge. Length - 14,7 cm., grave # 10, 3rd-2nd cent. BC



იარაღი სოხუმის მთიდან
Weapons from Sokhumi Mountain




იარაღი სოხუმის მთიდან
Weapons from Sokhumi Mountain




33




37




36




35




34




37



38



40



41



იარაღი სოხუმის მთიდან
Weapons from Sokhumi Mountain

სტირფაზი (რუკაზე № 73)

Stirfazi (# 73 on the map)

სოფ. სტირფაზთან (ჯავის მუნიციპალიტეტი, მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე ა.წ. I-V სს-ის 62 სამარხია შესწავლილი. საბრძოლო იარაღი ერთშია. მასალა ინახება ცხინვალის მუზეუმში.

To the N of t. Java, on the left bank of the r. Didi Liakhvi 62 graves of 1st-5th cent. AD. were excavated. The weapons were found in 1 grave and on the territory of the cemetery. The artifacts are preserved in Tskhinvali Museum.

1. **შუბისპირი**, რკინისა, მომრგვალებულმხრებიანი, მაღალქედიანი, მასრაგახსნილი, მასრაში შემორჩენილი ხის ტარის ნაშთით. სიგრძე - 19 სმ. აღმოჩნდა № 49 სამარხში [გაგლოევ 1984:31, სურ. 28,1].

Spearhead, iron, with rounded shoulders, midrib, open socketed, length – 19 cm., grave # 49.

2. **შუბისპირი**, რკინისა, ხიშტისებური, ოთხგკუთხაგანივეკვეთიანი პირით, მასრაგახსნილი, სამანჭვლე ხვრელით. სიგრძე - 16 სმ. [გაგლოევ 1984:32, სურ. 28,2].


Spearhead, iron, bayonet-like, length – 16 cm., grave # 49.

3. **ბუნიკი**, რკინისა, კონუსის ფორმის ნაწვეტებული ბოლოთი. სიგრძე - 12 სმ. ა.წ. I-II სს. [გაგლოევ 1984:32, სურ. 28,3].

Spear-but, iron, conical, length – 12 cm., grave # 49.

4. **ისრისპირი**, ბრინჯაოსი, სამფრთიანი მასრიანი. სიმაღლე - 1,5 სმ. ა.წ. I-II სს. [გაგლოევ 1984:32, სურ. 28,4].

Arrowhead, bronze, trilobate, socketed, h – 1,5 cm, grave # 49.



იარაღი სტირფაზიდან

Weapons from Stirpazi

სხალთა (რუკაზე № 74)
Skhalta (# 74 on the map)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, თეთრიწყაროდან სამხრეთით 3 კმ-ში, ადგილ სხალთაზე შესწავლილია ძვ.წ. IV საუკუნის სამაროვანი და ნასოფლარი. აქ გათხრილია 60 სამარხი, დაკრძალვა ინდივიდუალურია, აქედან მამაკაცი 20-ია. იარაღი დაფიქსიდა 7 სამარხში. მასალა ინახება ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტში.

In 3 kilometers to the S of t. Tetritskaro, at the place called Skhalta, 60 graves of 4th – 3rd cent. BC were excavated. The weapons were found in 5 graves and on the territory of the cemetery. The artifacts are preserved in Georgian National Museum, Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies.

1. **ცული**, რკინისა, აქვს ოვალური სატარე ხვრელი, ჩაქუჩისებური, ოთხნახნაგა, დაბრტყელებული ყუა და ოვალური, ასიმეტრიული პირი. სიმაღლე - 9,5 სმ. აღმოჩნდა დანგრეულ სამარხებში [Shatberashvili, Nikolaishvili, Shatberashvili 2005:436, ტაბ. VI,8].

Battle-axe, iron, with an oval hole for a handle, hammer-like, flattened butt and oval, assymetrical cutting edge, h – 9,5 cm., from damaged grave.

2. **ცული**, რკინისა, № 1-ის მსგავსი. სიგრძე - 9 სმ. აღმოჩნდა დანგრეულ სამარხებში [Shatberashvili, Nikolaishvili, Shatberashvili 2005: ტაბ. VI,9].

Battle-axe, iron, analogous to #1, length – 9 cm., from damaged grave.

3. **ცული**, რკინისა, აქვს ოვალური სატარე ხვრელი, ჩაქუჩისებური ოთხნახნაგა, ოდნავ შემაღლებული ყუა და ოვალური, ასიმეტრიული პირი. სიმაღლე - 12,5 სმ. აღმოჩნდა № 18 სამარხში [Shatberashvili, Nikolaishvili, Shatberashvili 2005:434, ტაბ. III,32].

Battle-axe, iron, with an oval hole for a handle, hammer-like, slightly high butt and oval, assymetrical cutting edge, h – 12,5 cm., grave # 18.

4. **შუბისპირი**, რკინისა, რომბისებურპირიანი, ქედიანი, მასრაგახსნილი. სიგრძე - 26,5 სმ. აღმოჩნდა № 13 სამარხში [Shatberashvili, Nikolaishvili, Shatberashvili 2005:436, ტაბ. VI,4].

Spearhead, iron, with rhomboid blade, midrib, open socketed, length – 26 cm., grave # 13.

5. **შუბისპირი**, რკინისა, ფრაგმენტი. შემორჩენილია მასრა. აღმოჩნდა № 13 სამარხში [Shatberashvili, Nikolaishvili, Shatberashvili 2005:436].

Spearhead, iron, fragment of socket, grave # 13.

6. **შუბისპირი**, რკინისა, ვიწროპირიანი, ქედიანი, მასრაგახსნილი. სიგრძე - 19,5 სმ. აღმოჩნდა № 20 სამარხში [Shatberashvili, Nikolaishvili, Shatberashvili 2005:436, ტაბ. VI,1].


Spearhead, iron, with narrow blade, midrib, open socketed, length – 27 cm., grave # 20.

7. **შუბისპირი**, რკინისა, ვიწროპირიანი, ქედიანი, მასრაგახსნილი. სიგრძე - 27 სმ. აღმოჩნდა № 36 სამარხში [Shatberashvili, Nikolaishvili, Shatberashvili 2005:436, ტაბ. VI,3].

Spearhead, iron, with narrow blade, midrib, open socketed, length – 27 cm., grave # 36.

8. **შუბისპირი**, რკინისა, ვიწროპირიანი, ქედიანი, მასრაგახსნილი. ნაკლული. სიგრძე - 16,5 სმ. აღმოჩნდა № 37 სამარხში [Shatberashvili, Nikolaishvili, Shatberashvili].

Spearhead, iron, with narrow blade, midrib, open socketed, blade is partially preserved, length – 16.5 cm., grave # 37.



იარაღი სხალთადან
Weapons from Skhalta

ტახტიძირი (რუკაზე № 75) Takhtidziri (# 75 on the map)

ქარელის მუნიციპალიტეტში, ადგილ წითელბეგებზე, სოფ. ტახტიძირთან შესწავლილია ძვ.წ. IV-III სა-ის 26 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 2. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დედოფლის მინდვრის ფონდში.

26 graves of 4th – 3rd cent. BC were excavated near the v. Takhtidziri (Qareli municipality), place called Tsitel-begebi. The weapons were found in 2 graves. The artifacts are preserved in Georgian National Museum S. Janashia Museum of Georgia.

1. **ცული**, რკინისა, აქვს ოვალური სატარე ხვრელი, ოთხნახნაგა, დაბალი, დაბრტყელებული, ყუა, ოდნავ გამოყვანილი წელი და ასიმეტრიული პირი. სიგრძე - 16,6 სმ. აღმოჩნდა № 8 სამარხში. ძვ.წ. III საუკუნე [გოგიბერიძე 2011:24].

Battle-axe, iron, with an oval axe eye, tetrahedral, hammer-like, flattened butt, asymmetrical cutting edge. Length - 16,6 cm. Grave # 8, 3rd c. BC.

2. **ცული**, რკინისა, აქვს ოვალური სატარე ხვრელი, ოთხნახნაგა, დაბალი, დაბრტყელებული, ყუა, ოდნავ გამოყვანილი წელი და ასიმეტრიული პირი. სიგრძე - 17 სმ. აღმოჩნდა № 7 სამარხში. ძვ.წ. III საუკუნე [გოგიბერიძე 2011:25].

Battle-axe, iron, with an oval axe eye, tetrahedral, hammer-like, flattened butt, asymmetrical cutting edge. Length - 17 cm. Grave # 7, 3rd c. BC.

3. **შუბისპირი**, რკინისა, მომრგვალებულმხრებიანი, ქედიანი, მასრაგახსნილი. სიგრძე - 20 სმ. აღმოჩნდა № 8 სამარხში. ძვ.წ. III საუკუნე [გოგიბერიძე 2011:25].

Spearhead, iron, with rounded shoulders and midrib. Length - 20 cm. Grave # 8, 3rd c. BC,

4. **შუბისპირი**, რკინისა, მომრგვალებულმხრებიანი, ქედიანი, მასრაგახსნილი. სიგრძე - 20 სმ. აღმოჩნდა № 8 სამარხში. ძვ.წ. III საუკუნე [გოგიბერიძე 2011:25].

Spearhead, iron, with rounded shoulders and midrib. Length - 20 cm. Grave # 8, 3rd c. BC.

5. **მახვილი (მახაირა)**, რკინისა, ცალპირლესული. სიგრძე - 56 სმ. აღმოჩნდა № 8 სამარხში, ძვ.წ. III საუკუნე [გოგიბერიძე 2011:25].

Machaira, iron. Length - 56 cm. Grave # 8, 3rd c. BC.

უფლისციხე (რუკაზე № 76) Uplistsikhe (# 76 on the map)

გორის მუნიციპალიტეტში, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს-ის ბოლოხანების კლდოვანი სამარხი, რომელიც შეიცავდა საბრძოლო იარაღს. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში.

In the rock hewn ancient town Uplistsikhe (Gori municipality) the grave of the late 4th cent. BC was found. The artifacts are preserved at Georgian National Museum, Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts.

1. **შუბისპირი**, რკინისა, წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი [ყიფიანი 2000:77, სურ.14].

Spearhead, iron, with prolonged triangular blade.

2. **2 საბრძოლო ეტლის** ნაწილები [ყიფიანი 2000:79-80].

Remains of two war chariots.

ფერეთა (რუკაზე № 77)

Pereta (# 77 on the map)

სოფელ ფერეთაში (ვანის მუნიციპალიტეტი), ადგილ სერისძირზე გათხრილია 1 სამარხი, რომელიც ახ.წ. I-II სს-ით თარიღდება.

In the v. Pereta (Vani municipality), at the place called Serisdziri 1 grave with weapon of 1st -2nd cent. AD was excavated.

1. **ცული**, რკინისა, აქვს დაბალი, ბრტყელი ყუა, მრგვალი სატარე ხვრელი, სწორი შუბლი და ცალ მხარეს გაფართოებული ასიმეტრიული პირი. სიმაღლე - 10 სმ. [ხარაბაძე 2002:82].

Battle-axe, iron, with low butt, and assymetrical cutting edge, h- 10 cm.

2. **შუბისპირი**, რკინისა, მასრანაკლული, მომრგვალებულმხრებიანი, ქედიანი. სიგრძე - 26 სმ. [ხარაბაძე 2002:83].

Spearhead, iron, with rounded shoulders, length – 26 cm.

3. **შუბისპირი**, რკინისა, ნაკლული, ქედიანი, მასრაგახსნილი. შემორჩენილი სიგრძე - 25,5 სმ. [ხარაბაძე 2002:83].


Spearhead, iron, not fully preserved, length – 25,5 cm.

4. **შუბისპირი**, რკინისა, ნაკლული, ქედიანი, მასრაგახსნილი. შემორჩენილი სიგრძე - 23,5 სმ. [ხარაბაძე 2002:83].

Spearhead, iron, not fully preserved, length – 23,5 cm.

5. **შუბისპირი**, რკინისა, შემორჩენილია ფრაგმენტი [ხარაბაძე 2002:83].

Spearhead, fragment.



იარაღი ფერეთადან
Weapons from Pereta

ფიჭვნარი (რუკაზე № 78)
Pichvnari (# 78 on the map)

დღევანდელი ქობულეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ფიჭვნარში, მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის ხერთვისთან აღმოჩნდა ანტიკური ხანის სხვადასხვა პერიოდის სამარხები: 418 ე.წ. ბერძნული ნეკროპოლიდან (ძვ.წ. V-IV სს.); 383 კოლხურიდან (ძვ.წ. V ს.); 238 ელინისტური ხანის ნეკროპოლიდან (IV-III სს.); 6 ახ.წ. IV-V სს. იარაღიანი სამარხების რაოდენობა: 7 (ძვ.წ. V-IV სს-ის ბერძნული და კოლხური სამაროვნიდან); 7 (ძვ.წ. IV-III სს-ის სამაროვნიდან); 4 (ახ.წ. IV-V სს-ის სამაროვნიდან) — სულ — 18. მასალა ინახება ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში.

In the N part of t. Qobuleti, Pichvnari, near the mouth of rivers Choloqi and Ochkhhamuri graves of Classical period were found: 418 from Greek necropolis (5th – 4th cent. BC); 383 from Colchian necropolis (5th cent BC); 238 from Hellenistic period necropolis (4th – 3rd cent. BC); and 6 from (4th -5th cent. AD necropolis. The weapons were found in 7 graves of Greek and Colchian necropolises; in 7 graves of Hellenistic period necropolis; in 4 graves of 4th -5th cent. AD Necropolis. The artifacts are preserved in Batumi Archaeological Museum.

1. **ისრისპირი**, ბრინჯაოსი, 18 ც., სამფრთიანი, მასრიანი, ტყავის კაპარჭში იყო მოთავსებული. სამარხი № 15, ბერძნული ნეკროპოლი, ძვ.წ. V ს. [კახიძე 2007:38, 266, სურ.49-6].

Arrowheads, bronze, trilobate, socketed, 18 pieces, grave # 15, Greek Necropolis, 5th cent. BC.

2. **ისრისპირი**, კაჟის, ბრტყელი, სამკუთხა ფორმის. ბერძნული ნეკროპოლის სააღაპო მოედანზე, ძვ.წ. V ს. [კახიძე 2007:32, სურ.99-7].

Arrowhead, flint, triangular, Greek Necropolis, 5th cent. BC.

3. **ისრისპირი**, ბრინჯაოსი, სამფრთიანი, მასრიანი. სამარხი № 37, კოლხური ნეკროპოლი, ძვ.წ. V ს. [კახიძე 1981:54, სურ.7].

Arrowhead, bronze, trilobate, socketed grave # 37, Colchian Necropolis, 5th cent. BC.

4. **ისრისპირი**, ბრინჯაოსი, 63 ც., სამფრთიანი, მასრიანი. სამარხი № 158, კოლხური ნეკროპოლი ძვ.წ. V ს. [კახიძე 1981:54 სურ. 7].

Arrowheads, bronze, trilobate, socketed, 43 pieces, grave # 158, Colchian Necropolis, 5th cent. BC.

5. **ისრისპირი**, ბრინჯაოსი, სამფრთიანი, მასრიანი. სამარხი № 292, კოლხური ნეკროპოლი ძვ.წ. V ს. [კახიძე, ვიკერსი 2004:24, სურ.65].

Arrowhead, bronze, trilobate, socketed, grave # 292, Colchian Necropolis, 5th cent. BC.

6. **ისრისპირი**, ბრინჯაოსი, სამფრთიანი, მასრიანი. სიგრძე — 2 სმ., სამარხი № 326, კოლხური ნეკროპოლი, ძვ.წ. V ს. [კახიძე, ვიკერსი 2014:18, 42, სურ.10/8].

Arrowhead, bronze, trilobate, socketed, length - 2 cm, grave # 326, Colchian Necropolis, 5th cent. BC.

7. **შუბისპირი**, რკინისა, 3 ც., ხიშტისებური პირით (ერთის სიგრძე — 44 სმ., ორის — 47 სმ.), ბოლოვდებოდა რკინის ცილინდრული ბუნიკით (სიგრძე — 14 -15 სმ), შუბების მთლიანი სიგრძე დაახ. 2 მ-ია. სამარხი № 158, კოლხური ნეკროპოლი, ძვ.წ. V ს. [კახიძე 1981:54, ტაბ. XXXI,2].

Spearheads, iron, bayonet-like, 3 pieces (length 44 and 47 cm), all of them had cylindrical spear-butts. The

length os spears with wooden shaft is approximately 2 meters. Grave # 158, Colchian Necropolis, 5th cent. BC.

8. **მუჯირა**, რკინისა, კონუსური, მასრიანი, სიგრძე — 15 სმ. სამარხი № 336, კოლხური ნეკროპოლი, ძვ.წ. V ს. [კახიძე, ვიკერსი 2014:43, სურ. 21/2].

Spear-butt, iron, conical, length -15 cm., grave # 336, Colchian Necropolis, 5th cent. BC.

9. **აბჯრის ფირფიტა**, ბრინჯაოსი, ქერცლისებრი. სამარხი № 363, კოლხური ნეკროპოლი, ძვ.წ. V ს. [კახიძე, ვიკერსი 2014:23, 42, სურ. 15/11].

Scale armor plate, bronze, grave # 363, Colchian Necropolis, 5th cent. BC.

10. **შუბისპირი**, რკინისა, რკინის ბუნიკით, წაგრძელებულპირიანი, გრძელმასრიანი. შუბისპირის სიგრძე — 28,5 სმ, ხის ტართან ერთად — 150 სმ. სამარხი № 161, ელინისტური ნეკროპოლი, ძვ.წ. IV-III სს. [კახიძე, ვიკერსი 2004:115, 118-119, სურ. 271].

Spearhead, iron, with prolonged blade, long socket, was found together with a butt, length – 28,5 cm., together with wooden shaft – 150 cm., grave # 161, Hellenistic necropolis, 4th -3rd cent. BC.

11. **შუბისპირი**, რკინისა, წაგრძელებული პირის ფრაგმენტი, რკინის ბუნიკით, მკვეთრი, რელიეფური ქედით. სამარხი № 231, ელინისტური ნეკროპოლი, ძვ.წ. IV-III სს. [კახიძე, ვიკერსი 2014:117, 172, სურ. 136/10].

Spearhead, iron, the fragment of prolonged blade, was found together with a butt, grave # 231, Hellenistic necropolis, 4th -3rd cent. BC.

12. **აკინაკი**, რკინისა, ძელაკისებური ტარისთავით, მრგვალგანივეკეთიანი ტარითა და პეპელსებური ვადით, პირი წაგრძელებულია. სიგრძე — 58 სმ, ეტყობა ხის ქარქაშის კვალი. სამარხი № 161, ელინისტური ნეკროპოლი, ძვ.წ. IV-III სს. [კახიძე, ვიკერსი 2004:115, 118-119, სურ. 271].

Akinake, iron, with bar-like pommel, butterfly-like guard and long blade, length - 58 cm., grave # 161, Hellenistic necropolis, 4th -3rd cent. BC.

13. **აკინაკი**, რკინისა, № 12-ის ანალოგიური. სამარხი № 231, ელინისტური ნეკროპოლი, ძვ.წ. IV-III სს [კახიძე, ვიკერსი 2014:117, 173].

Akinake, iron, analogous to # 12, grave # 231, Hellenistic necropolis, 4th -3rd cent. BC.

14. **ცული**, რკინისა, ოთხნახნაგა ჩაქუჩისებური ყუით, ოვალური სატარეთი, ოდნავ გაფართოებული, ასიმეტრიული პირით. სამარხი № 161, ელინისტური ნეკროპოლი, ძვ.წ. IV-III სს. [კახიძე, ვიკერსი 2004:115, 118-119].

Battle-axe, iron, with tetrahedral, hammer-like butt, slightly widened, assymetrical cutting edg., grave # 161, Hellenistic Necropolis, 4th - 3rd cent. BC.

15. **ცული**, რკინისა, № 14-ის ანალოგიური. სიმაღლე — 15 სმ. სამარხი № 231, ელინისტური ნეკროპოლი, ძვ.წ. IV-III სს. [კახიძე, ვიკერსი 2014:172, სურ. 136/11].

Battle-axe, iron, analogous to # 14, grave # 231, Hellenistic Necropolis, 4th -3rd cent. BC.

16. **მუჯირა**, რკინისა, კონუსური, მასრაგახსნილი. შემორჩენილი სიგრძე — 9,5 სმ. სამარხი № 91, ელინისტური ნეკროპოლი, ძვ.წ. IV-III სს. [კახიძე, ვაშაკიძე 2010:89, სურ.52/6].

Spear-butt, iron, conical, length – 9,5 cm., grave # 81, Hellenistic Necropolis, 4th - 3rd cent. BC.

17. **აბჯრის ფირფიტები**, ბრინჯაოსი, 7 ც., ქერცლისებური. სამარხი № 55, ელინისტური

ნეკროპოლი, ძვ.წ. IV-III სს. [კახიძე, ვაშაკიძე 2010:87, სურ.41/2; 125/7].

Scale armor plates, bronze, 7 pieces, grave # 55, Hellenistic Necropolis, 4th - 3rd cent. BC.

18. **აბჯრის ფირფიტა**, ბრინჯაოსი, № 17-ის მსგავსი, ნაკლული. სამარხი № 95, ელინისტური ნეკროპოლი, ძვ.წ. IV-III სს. [კახიძე, ვაშაკიძე 2010:87, სურ. 53/9; 132/9].

Scale armor plates, bronze, grave # 95, Hellenistic Necropolis, 4th - 3rd cent. BC.

19. **შუბისპირი**, რკინისა, რკინის ცილინდრული ბუნიკით, მომრგვალებულმხრებიანი, ქედიანი, გრძელმასრიანი. შუბისპირის სიგრძე — 28 სმ, ბუნიკის — 8,5 სმ, ხის ტართან ერთად — 220 სმ. სამარხი № 177(3), ახ.წ. IV-V სს. [კახიძე, ვიკერსი 2004:123, 128, სურ. 286].

Spearhead, iron, with rounded shoulders, midrib and long socket. The spear had wooden shaft and cylindrical butt. Length of spearhead -28 cm., length of butt - 8,5 cm., together with wooden shaft – 220 cm. Grave # 177(3), 4th-5th cent. AD.

20. **შუბისპირი**, რკინისა, რკინის ცილინდრული ბუნიკით, მომრგვალებულმხრებიანი, ქედიანი, მოკლემასრიანი. შუბისპირის სიგრძე — 34,5 სმ, ბუნიკის — 10,5 სმ, ხის ტართან ერთად — 175 სმ, სამარხი № 178(4), ახ.წ. IV-V სს. [კახიძე, ვიკერსი 2004:124, 128, სურ. 289].

Spearhead, iron, with rounded shoulders, midrib and long socket. The spear had wooden shaft and cylindrical butt. Length of spearhead -34,5 cm., length of butt - 10,5 cm., together with wooden shaft – 175 cm. Grave # 178(4), 4th-5th cent. AD.

21. **შუბისპირი**, რკინისა, რკინისავე ცილინდრული ბუნიკით, მომრგვალებულმხრებიანი, ქედიანი, გრძელმასრიანი. შუბისპირის სიგრძე — 26,5 სმ, ბუნიკის — 12 სმ, ხის ტართან ერთად — 170 სმ, სამარხი № 179 (5), ახ.წ. IV-V სს. [კახიძე, ვიკერსი 2004:124, 128, სურ.290, 295].

Spearhead, iron, with rounded shoulders, midrib and long socket. The spear had wooden shaft and cylindrical butt. Length of the spearhead -26,5 cm., length of the butt - 12 cm., together with the wooden shaft – 170 cm. Grave # 179(5), 4th-5th cent. AD.

22. **ცული**, რკინისა, ოთხნახნაგა, ოდნავ შემაღლებული ყუით, მრგვალი სატარე ხვრელით, მასიური, ვიწრო, ასიმეტრიული პირით. სამარხი № 177 (3), ახ.წ. IV-V სს. [კახიძე, ვიკერსი 2004:123, 128, სურ.286].

Battle-axe, iron, with slightly raised butt, narrow, assymetrical cutting edge. Grave # 177(3), 4th-5th cent. AD.

23. **ცული**, რკინისა, მომრგვალებულ ყუისთავიანი, მრგვალ სატარე ხვრელიანი, ასიმეტრიული პირის შიდა მხარე მკვეთრად გაფართოვებულია. სამარხი № 178 (4), ახ.წ. IV-V სს. [კახიძე, ვიკერსი 2004:124, 128 სურ. 296-1].


Battle-axe, iron, with rounded butt, assymetrical blade, Grave # 178(4), 4th-5th cent. AD.

24. **ცული**, რკინისა, ე.წ. წებელდური ტიპისა. სამარხი № 179 (5), ახ.წ. IV-V სს. [კახიძე, ვიკერსი 2004:124, 128 სურ.290, 296-2].

Battle-axe, iron, bearded. Grave # 179(5), 4th-5th cent. AD.

25. **ცული**, რკინისა, ოთხნახნაგა, შემაღლებული ყუით, მრგვალი სატარე ხვრელით, ვიწრო, ასიმეტრიული პირით. სიმაღლე — 20 სმ. სამარხი № 323, ახ.წ. IV-V სს. [კახიძე, ვიკერსი 2014:175, 179].

Battle-axe, iron, with slightly raised butt, assymetrical cutting edge. Grave # 323, 4th-5th cent. AD.



იარაღი ფიჭვნარიდან
Weapons from Pichvnari

ქასრაანთ მიწები (რუკაზე № 79) Qasraant Mitsebi (# 79 on the map)

ციხიაგორას ნამოსახლარის (კასპის მუნიციპალიტეტი) ჩრდილო-აღმოსავლეთით, ადგილ „ქასრაანთ მიწებზე“ გაითხარა ძვ.წ. VI-IV სს-ის 30 სამარხი. იარაღი აღმოჩნდა 3 სამარხში. მასალა ინახება კასპის მუნიციპალურ მუზეუმში.

Near the ancient settlement site, Tsikhiagora (Kaspi municipality), at the place called Qasraant Mitsebi 30 graves of 5th-4th cent. BC were excavated. Weapons were found in 2 of them. The artifacts are preserved at Kaspi Museum.

1. **შუბისპირი**, რკინისა, რომბისებურპირიანი, აქვს გრძელი და გახსნილი მასრა. სიგრძე - 25,5 სმ. აღმოჩნდა № 28 სამარხში [ბერაძე 1980:24, ტაბ. XXIII,6].

Spearhead, iron, with rhomboid blade, length - 25,5 cm., grave # 28.

2. **შუბისპირი**, რკინისა, მომრგვალებულმხრებიანი, აქვს გრძელი, გახსნილი მასრა. სიგრძე - 23,4 სმ. აღმოჩნდა № 28 სამარხში [ბერაძე 1980:20, ტაბ. XXIII,7].


Spearhead, iron, with rounded shoulders, length - 23,4 cm., grave # 28

3. **სატევარი**, რკინისა, მოხრილი, ცალპირლესული, სიგრძე - 26 სმ. აღმოჩნდა № 18 სამარხში [ბერაძე 1980:22, ტაბ. XVIII,1].

Dagger, iron, one sided, crooked, length - 26 cm, grave # 18.

4. **სატევარი**, რკინისა, № 3-ის ანალოგიური უნდა ყოფილიყო. სავარაუდო სიგრძე - 25 სმ. აღმოჩნდა № 24 სამარხში [ბერაძე 1980:24, ტაბ. XXI,13].

Dagger, iron, one sided, analogous to #3, grave # 24.



იარაღი ქასრაანთ მიწებიდან
Weapons from Qasraant Mitsebi

ქვიანი (რუკაზე № 80)

Qviani (# 80 on the map)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვიანში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს დაზიანებული, ქალკიდური მუზარადი. ინახება ლანჩხუთის მუზეუმში [გამყრელიძე 2002:43]

In the v. Qviani, (Lanckhuti municipality) bronze **helmet of Chalcidian type** was accidentally found. The artifact is preserved in Lanckhuti Museum.



მუზარადი სოფ. ქვიანიდან
The helmet from v. Kviani

ქლივანა I (რუკაზე № 81) Qlivana I (# 81 on the map)

მდ. მეჯუდას ხეობაში, სოფ. ქლივანას (ცხინვალის მუნიციპალიტეტი) ჩრდილო — აღმოსავლეთით, 200 მ-ში, შესწავლილია ძვ.წ. VI-IV სს-ის 32 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 2.

Near the v. Qlivana (Tskhinvali municipality), to the N of the village, 32 graves of 6th-4th cent. BC were excavated. The weapons were found in 2 graves.

1. **შუბისპირი**, რკინისა, ფრაგმენტი. აღმოჩნდა № 15 სამარხში [Сланов 1983:415-416].

Spearhead, iron, fragmented, grave # 15.

2. **ისრისპირი**, ბრინჯაოსი, 2 ცალი, სამფრთიანი. აღმოჩნდა № 15 სამარხში [Сланов 1983:415-416].

Arrowheads, bronze, trilobate, 2 pieces, grave # 15.

3. **ისრისპირი**, ძვლისა, აღმოჩნდა № 3 სამარხში [Сланов 1983:415-416].

Arrowhead, bone, grave # 3.

4. **საჭევარი**, რკინისა. აღმოჩნდა № 15 სამარხში [Сланов 1983:415-416].

Dagger, iron, grave # 15.

5. **აკინაკი**, რკინისა. აღმოჩნდა № 15 სამარხში [Сланов 1983:415-416].

Akinake, iron, grave # 15.

6. **ცული**, რკინისა, 2 ც. აღმოჩნდა № 15 სამარხში [Сланов 1983:415-416].

Battle-axe, iron, grave # 15.

ქლივანა II (რუკაზე № 82) Qlivana II (# 82 on the map)

სოფ. ქლივანას (იხ. ზემოთ) ჩრდილოეთით 800 მ-ში, შესწავლილია ძვ.წ. VI—II სს-ის 30 სამარხი, იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 2.

Near the v. Qlivana (Tskhinvali municipality), to the N of the village, 30 graves of 6th-2nd cent BC were excavated. The weapons were found in 2 graves.

1. **შუბისპირი**, რკინისა, ბუნიკით. აღმოჩნდა № 22, ე.წ. მეომრის სამარხში [Сланов 1986:408; Гаглоев, Сланов 1988:441-442].

Spearhead, iron, with spear butt, grave # 22.

2. **საჭევარი**, რკინისა. აღმოჩნდა № 22, ე.წ. მეომრის სამარხში [Сланов 1986:408; Гаглоев, Сланов 1988:441-442].

Dagger, iron, grave # 22.

3. **მუჯირა**, რკინისა. აღმოჩნდა № 1 სამარხში [Сланов 1986:408; Гаглоев, Сланов 1988:441-442].

Spear butt, iron, grave # 1.


4. ცული, რკინისა, 2 ცალი. სიგრძე - 13,5 სმ. აღმოჩნდა №№ 1 და 22 სამარხებში [Сланов 1986:408; Гаглоев, Сланов 1988:441-442].

Battle axes, iron, 2 pieces, graves ## 1, 22.

ქუთაისი (რუკაზე № 83) Kutaisi (# 83 on the map)

ქ. ქუთაისში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ქალკიდური მუზარადი. ინახება მოსკოვის ისტორიის მუზეუმში [გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005:148].

In Kutaisi, in unknown place, the **Chalcidian helmet** was accidentally found. The artifact is preserved in Moscow Historical Museum.



მუზარადი ქუთაისიდან
The helmet from Kutaisi

ღოუბანი (რუკაზე № 84) Goubani (# 84 on the map)

სოფ. ღოუბანის (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) ჩრდილო განაპირას, ბორცვ „პეპელაგვერდას“ სამხრეთ კალთაზე, ადგილ საკრაველზე შესწავლილია ძვ.წ. IV-II სს-ის 26 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 2. მასალა ინახება ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტში.

Near the v. Goubani, at the place called "Sakraveli" (Tetritskaro municipality), 26 graves of 4th-2nd cent BC were excavated. The weapons were found in 2 ones. The artifacts are preserved in Georgian National Museum, Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies.

შუბისპირი, რკინისა, 2 ც. [ამირანაშვილი 1997:16].

Spearheads, iron, 2 pieces.

ღრმახევისთავი (რუკაზე № 85)
Grmakhevistavi (# 85 on the map)

სოფ. ვარდისუბნის (დმანისის მუნიციპალიტეტი) მიდამოებში, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირას, ადგილ ღრმახევისთავზე შესწავლილია ძვ.წ. V-IV სს. და IV-III სს-ის მიჯნის 47 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 6.

Near the Medieval town of Dmanisi, in the vicinity of the village Vardisubani (Dmanisi municipality), at the place called Grmakhevistavi, 43 graves of 5th-4th cent BC were excavated. The weapons were found in 2 graves.

1. **შუბისპირი**, რკინისა, პირი დაზიანებულია და მისი ფორმა არ იკითხება, მაღალი, განიერი ქედი მასრის პირზე გადასვლის ადგილას იწყება, მასრა გრძელი და გახსნილია. მიახლოებითი სიგრძე - 18,5 სმ. აღმოჩნდა № 60 სამარხში [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980:141, სურ. 131].

Spearhead, iron, the blade is damaged, midrib is high, socket – long approximate length – 18,5 cm. Grave # 60.

2. **შუბისპირი**, რკინისა, მომრგვალებულმხრებიანი, მაღალი, განიერი ქედი მასრის პირზე გადასვლის ადგილას იწყება, მასრა გრძელი და გახსნილია. მიახლოებითი სიგრძე - 25 სმ. აღმოჩნდა № 71 სამარხში [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980:150, სურ 141].

Spearhead, iron, with rounded shoulders, wide midrib, long, opened socket, length – 25 cm., grave # 71.

3. **შუბისპირი**, რკინისა, შემორჩენილია პირის ფრაგმენტი და გახსნილი მასრა. აღმოჩნდა № 74 სამარხში [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980:152, სურ. 145].

Spearhead, iron, fragment of blade and socket, grave # 74.

4. **შუბისპირი**, რკინისა, მომრგვალებულმხრებიანი (რეკონსტრუქცია), მასრა გრძელი და გახსნილია. სიგრძე - 29 სმ. აღმოჩნდა № 93 სამარხში [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980:166, სურ. 160].

Spearhead, iron, with rounded shoulders, long, opened socket, length – 29 cm., grave # 71.

5. **შუბისპირი**, რკინისა, მომრგვალებულმხრებიანი (რეკონსტრუქცია), მასრა გრძელი და გახსნილია. სიგრძე - 35 სმ. აღმოჩნდა № 108 სამარხში [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980:189, სურ. 178].

Spearhead, iron, with rounded shoulders, long, opened socket, length – 35 cm., grave # 108.

6. **შუბისპირი**, რკინისა, შემორჩენილია მხოლოდ წვერის მცირე ნატეხი. აღმოჩნდა № 113 სამარხში [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980:184, სურ. 183].

Spearhead, iron, fragment, grave # 113.

7. **ისრისპირი**, ბრინჯაოსი, ორფრთიანია, ნრიულგანივეკვეთიანი მასრით, დეზიანი. სიმაღლე - 4 სმ. აღმოჩნდა № 113 სამარხში [აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980:184, სურ. 183].

Arrowhead, bronze, bilobate, socketed, barbed, h- 4 cm., grave # 113.

ყანჩაანთ სოფელი (რუკაზე № 86)
Kanchaant Sopeli (# 86 on the map)

დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოსლების მიმდებარე ტერიტორიაზე შესწავლილია ახ.წ. I-IV საუკუნეების 22 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა — 2. იარაღის სახეობები და მათი რაოდენობა — **2 შუბისპირი**. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ინსტიტუტში, მზადდება გამოსაქვეყნებლად.

Near the v. Boslebi (Dmanisi municipality), at the place called Kanchaant Sopeli, 22 graves of 1st-4th cent. AD were excavated. The weapons - **spearheads** were found in 2 graves. The artifacts are preserved in Georgian National Museum, Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies and will be published soon.

ყანჩაეთი (რუკაზე № 87)
Kanchaeti (# 87 on the map)

სოფელ ყანჩაეთის (ახალგორის მუნიციპალიტეტი) მიდამოებში, ადგილ „ნიშავაკეზე“ ადგილობრივმა მოსახლეობამ შემთხვევით აღმოაჩინა ძვ.წ. VI-IV სს-ის სამარხი. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დედოფლის მინდვრის ფონდში.

Near the v. Kanchaeti (Akhalgori municipality) at the place called “Nishavake” local farmers accidentally found the grave of 5th- 4th cent. BC. The artifacts are preserved in Georgian National Museum S. Janashia Museum of Georgia.

1. შუბისპირი, რკინისა, მომრგვალებულმხრებიანი, ქედიანი, პირი მასრაზე თანდათანობით გადადის, წვერი და მასრა მოტეხილია. სიგრძე - 28,5 სმ. [გაგოშიძე 1964:52, ტაბ. XI,34].

Spearhead, with rounded shoulders, midrib, tip and socket are broken, length - 38,5 cm.

2. შუბისპირი, რკინისა, გრძელ და ვიწრო პირიანი, მოტეხილ მასრაში ხის ზროს ნაშთია შერჩენილი, საგანგებოდ მოღუნული. სიგრძე - 25,3 სმ. [გაგოშიძე 1964:52-53, ტაბ. XI,35].

Spearhead, iron, with long and narrow blade, socket is broken, length – 25,3 cm.

3. შუბისპირი, რკინისა, რომბისებურპირიანი, მაღალქედიანი, გრძელმასრიანი, მასრაგახსნილი. სიგრძე - 21 სმ. [გაგოშიძე 1964:53, ტაბ. XI,36].

Spearhead, iron, with rhombic blade, high midrib, long, open socketed, length – 21 cm.

4. შუბისპირი, რკინისა, ფრაგმენტი, შემორჩენილია უქედო პირისა და მასრის ნაწილი. შემორჩენილი სიგრძე - 8,5 სმ. [გაგოშიძე 1964:53, ტაბ. XI,37].

Spearhead, iron, fragment of blade and socket.

5. ისრისპირი, რკინისა, ფრაგმენტული, პირი ოთხფრთიანია, განივევეთში ჯვრისებური, ცალი ფრთა, მასრა და წვერი წატეხილია. სიგრძე - 6,5 სმ. [გაგოშიძე 1964:53, ტაბ. XI,38].

Arrowhead, iron, four winged, fragment, length – 6,5 cm.

6. შუბისპირი, რკინისა, ფრაგმენტული, შემორჩენილია მაღალქედიანი პირის ნაწილი [გაგოშიძე 1964:53, ტაბ. XI,39].


Spearhead, iron, fragment of blade.

7. მახვილი, რკინისა, ძლიერ დაჭანგული და ფრაგმენტირებული 4 ნატეხად, ოდნავ მოხრილი, ცალპირლესული, პირზე ორი პარალელური ღარით, ქარქაში და ტარი ხის ჰქონია. დაახლ. სიგრძე - 45 სმ-ზე მეტი [გაგოშიძე 1964:52, ტაბ. XII,32].

Sword, iron, one sided, corroded and fragmented, slightly curved, approximate length – 45 cm.

8. ცული, რკინისა, აქვს ოთხნახნაგა ყუა, ოვალური სატარე ხვრელი, ვიწრო, დაბალი ყელი, ფართო, ბრტყელი, სიმეტრიული პირი. სიგრძე - 11,2 სმ. [გაგოშიძე 1964:53, ტაბ. XI,33].

Battle-axe, iron, with tetrahedral butt, low neck, wide, symmetrical cutting edge, h - 11,2 cm.



იარაღი ყანჩაეთიდან
Weapons from Kanchaeti

შავსაყდარა I (რუკაზე № 88)

Shavsakdara I (# 88 on the map)

სოფ. შავსაყდარას (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) სამხრეთით, მდ. ალგეთის შუა წელზე, მარჯვენა ნაპირის ტერასაზე შესწავლილია ძვ.წ. IV და III საუკუნეების 97 სამარხი, საიდანაც 8 დანგრეული იყო, დაკრძალვა ინდივიდუალურია. საბრძოლო იარაღი აღმოჩნდა 15 სამარხში. მასალა ინახება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მუზეუმში.

97 graves of 4th and 4th-3rd cent. BC were excavated at the cemetery of Shavsakdara I. (Tetritskaro municipality). Weapons were found in 15. The artifacts are preserved in Tetritskaro municipal Museum.

1. **შუბისპირი**, რკინისა, რომბისებურპირიანი (პირი ნაკლულია), მაღალქედიანი, გრძელ და გახსნილ მასრიანი, მასრაზე ორი საჭარე ხვრელით. სიგრძე - 17,3 სმ. აღმოჩნდა № 13 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 86, ტაბ. CXCV₅, CVII₃].

Spearhead, iron, with rhomboid blade (blade is not fully preserved), high midrib, long and open-socketed. Length - 17,3 cm., grave # 13.

2. **შუბისპირი**, რკინისა, წაგრძელებულ სამკუთხაპირიანი, ქედიანი, მოკლემასრიანი. აღმოჩნდა № 15 სამარხში. შემორჩენილი სიგრძე - 29 სმ. [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 87, ტაბ. CIX₄].

Spearhead, iron, with prolonged triangular blade, midrib, short socketed. Length - 29 cm., grave # 15.

3. **შუბისპირი**, რკინისა, ვიწრო და გრძელპირიანი, მოკლემასრიანი, მასრაგახსნილი. სიგრძე - 45 სმ., აღმოჩნდა № 16 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 88 ტაბ. CIX₅].

Spearhead, iron, with narrow and long blade, short and opened socket. Length - 45 cm., grave # 16.

4. **შუბისპირი**, რკინისა, ვიწრო და გრძელპირიანი, ქედიანი, აქვს მოკლე, გახსნილი მასრა, ნაკლულია. სიგრძე - 48 სმ. აღმოჩნდა № 34 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 96, ტაბ. CXVIII₅].

Spearhead, iron, with narrow and long blade, midrib, short and opened socket. Length - 48 cm., grave # 34.

5. **შუბისპირი**, რკინისა, მომრგვალებულმხრებიანი, ვიწროპირიანი, ქედიანი, გრძელმასრიანი. შემორჩენილი სიგრძე - 16,5 სმ. აღმოჩნდა № 26 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 92, ტაბ. CIX₃].

Spearhead, iron, with rounded shoulders, high midrib, long socketed. Length - 16,5 cm., grave # 26.

6. **შუბისპირი**, რკინისა, მომრგვალებულმხრებიანი, ფართოპირიანი, ქედიანი, აქვს მოკლე, შეკრული მასრა. სიგრძე - 35 სმ. აღმოჩნდა შავსაყდარა I-ის № 39 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 98, ტაბ. CXX₃].

Spearhead, iron, with rounded shoulders, midrib, close socketed. Length - 35 cm, grave # 39.

7. **შუბისპირი**, რკინისა, პირის ფორმა გაურკვეველია, ქედიანია, მასრა მოტეხილია. სავარაუდო სიგრძე - 24 სმ. აღმოჩნდა № 60 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 109, ტაბ. CXXXII₆].

Spearhead, iron, the shape of the blade is unclear, with midrib, socket is broken, approximate length - 24 cm., grave # 60.

8. **შუბისპირი**, რკინისა, ნაკლული, მომრგვალებულმხრებიანი, ქედიანი, მასრა გრძელია. სავარაუდო სიგრძე - 22 სმ. აღმოჩნდა № 60* სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 110, ტაბ. CXXXII₁].

Spearhead, iron, fragmented, with rounded shoulders, midrib, long socket, approximate, length - 22 cm., grave #60*.

9. **შუბისპირი**, რკინისა, ნაკლული, პირის ფორმა გაურკვეველია, ქედიანია, მასრა მოკლეა. შემორჩენილი სიგრძე - 28,5 სმ. აღმოჩნდა № 79 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 119, ტაბ. CXLVII₂].

Spearhead, iron, the shape of the blade is unclear, with midrib, short socket, preserved length - 28,5 cm., grave #79

10. **შუბისპირი**, რკინისა, ნაკლული, ქედიანი. ფორმა გაურკვეველია. აღმოჩნდა № 89 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 124, ტაბ. CLII₄].

Spearhead, iron, the shape is unclear, grave #89.

11. **შუბისპირი**, რკინისა, ნაკლული, პირის ფორმა გაურკვეველია, ქედიანია. შემორჩენილი სიგრძე - 20 სმ. აღმოჩნდა № 95 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004: 72, 126, ტაბ. CLIV₅].

Spearhead, iron, the shape of the blade is unclear, with midrib, socket is broken, approximate, length - 20 cm., grave # 95.

12. **ხიშტისებური იარალი**, რკინისა, მასრაგახსნილი, ფრაგმენტული, ქედიანი. შემორჩენილი სიგრძე - 14 სმ. აღმოჩნდა № 61 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:110, ტაბ. CXXXIV₄].

Bayonet, iron, fragmented open socketed, approximate, length - 14 cm., grave # 61.

13. **მუჯირა**, რკინისა, კონუსური ფორმის, გახსნილი. სიგრძე - 8,3 სმ. აღმოჩნდა № 4 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 82, ტაბ. CXCV₂, CII₁].

Butt, iron, conical. H - 8,3 cm., grave # 4.

14. **მუჯირა**, რკინისა, კონუსური ფორმის, ნაკლული. აღმოჩნდა № 14 სამარხში. [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 87, ტაბ. CXCV₇, CVIII₁].

Butt, iron, conical, fragmented, grave # 14.

15. **ცული**, რკინისა, ე.წ. ჩაქუჩისებრყუიანი, აქვს დაბალი, ოთხნახნაგა ყუა, დაბრტყელებული ყუი-სთავი, ოვალური სატარე ხვრელი, ასიმეტრიული პირი. სიმაღლე - 10 სმ. აღმოჩნდა № 15 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72, 87, ტაბ. CIX₆].


Battle-axe, iron, with an oval axe eye, tetrahedral, low butt, asymmetrical cutting edge. H - 10 cm., grave # 15.

16. **ისრისპირი**, ბრინჯაოსი, სამფრთიანი, მოკლე მასრიანი, დეზიანი. სიგრძე - 3,3 სმ. აღმოჩნდა № 49 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:72,104, ტაბ. CXXVII₂].

Arrowhead, bronze, trilobate, short socketed, with a spur. Dimentions - 4,7 cm., grave # 49

17. **ისრისპირი**, რკინისა, ორფრთიანი, ქედიანი. სიგრძე -7 სმ. აღმოჩნდა № 61 სამარხში [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004:110, ტაბ. CXXXIV₃].

Arrowhead, iron, with midrib, 7 cm., grave # 61.



იარაღი შავსაყდარა I-დან
Weapons from Shavskdara I

შავსაყდარა II (რუკაზე № 89)
Shavsakdara II (# 89 on the map)

შავსაყდარა I-დან (იხ. ზემოთ) ჩრდილო-დასავლეთით 700 მეტრში, მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირზე შესწავლილია ძვ.წ. IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისის 16 სამარხი (აქედან 2 ცარიელია). იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 1. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის სამთავრო-თრიალეთის ფონდში.

16 graves of the 4th quarter of 4th and 4th-3rd centuries BC were excavated at the cemetery of Shavsakdara II (Tetritskaro municipality). The Weapons were found in 1. Artifacts are preserved in Georgian National Museum, S. Janashia Museum of Georgia.

1. **შუბისპირის მასრა, რკინისა, 2 ც. ალმოჩნდა № 6 სამარხში [მარგიშვილი 1992:13, ტაბ. VIII].**

Sockets of spearheads, 2 pieces, grave # 6.

2. **მახვილის ტარი, რკინისა, ალმოჩნდა № 6 სამარხში [მარგიშვილი 1992:13, ტაბ. VIII].**

The fragment of the hilt of the sword, grave # 6.

შაშიანი (რუკაზე № 90)
Shashiani (# 90 on the map)

სოფ. შაშიანში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) შემთხვევით აღმოჩნდა ძვ.წ. IV-II საუკუნეების დან-გრეული სამარხი, რომელშიაც სხვა მასალასთან ერთად რკინის ორი შუბისპირიც იყო. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგის ძირითად ფონდში.

In the v. Shashiani (Gurjaani municipality) the ruined grave of 4th-2nd cent. BC was accidentally found. Artifacts are preserved in Georgian National Museum, S. Janashia Museum of Georgia.

1. **შუბისპირი, რკინისა, მომრგვალებულმხრებიანი, ქედიანი, მასრაგახსნილი. სიგრძე - 29,5 სმ.**

Spearhead, iron, with rounded shoulders, midrib, open socket.

2. **შუბისპირი, რკინისა, დაზიანებული და დაშლილი.**

Spearhead, iron, fragmented.



შუბისპირი შაშიანიდან
The spearhead from Shashiani

შორი (რუკაზე № 91)
Shori (# 91 on the map)

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ბოლნისის სიონის ჩრდილო-დასავლეთით, შუასაუკუნეების ნასოფლარის მიდამოებში, ადგილ შორზე შესწავლილია ძვ.წ. VI-V საუკუნეების 22 სამარხი, რომელთაგან 1 სრულიად დანგრეულია. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 5.

Near the medieval settlement Shori (Bolnisi municipality) 22 graves of 6th-5th cent. BC were excavated. Weapons were found in 5.

1. **შუბისპირი**, რკინისა, დაზიანებული, დამტვრეული, ფორმა არ იკითხება. აღმოჩნდა № 1 თხრილში [ტყეშელაშვილი 1969:48].

Spearhead, iron, fragmented, trench # 1.

2. **შუბისპირი**, რკინისა, დაზიანებული, მასრაშეკრული, პირის ფორმა არ იკითხება. აღმოჩნდა № 6 სამარხში. ძვ.წ. V ს. [ტყეშელაშვილი 1969:48, ტაბ. V,139].

Spearhead, iron, damaged, with closed socket, grave # 6, 5th c. BC.

3. **შუბისპირი**, რკინისა, დაზიანებული, მასრაშეკრული, პირის ფორმა არ იკითხება. აღმოჩნდა № 9 სამარხში. ძვ.წ. V ს. [ტყეშელაშვილი 1969:52].

Spearhead, iron, damaged, with closed socket, grave # 9, 5th c. BC

4. **შუბისპირი**, რკინისა, დაზიანებული, მასრაშეკრული, პირის ფორმა არ იკითხება. აღმოჩნდა № 11 სამარხში. ძვ.წ. V ს. [ტყეშელაშვილი 1969:54, ტაბ. IX,179].

Spearhead, iron, damaged, with closed socket, grave # 11, 5th c. BC.

6. **შუბისპირი**, რკინისა, დაზიანებული, პირის ფორმა არ იკითხება. აღმოჩნდა № 20 სამარხში. ძვ.წ. V საუკუნე [ტყეშელაშვილი 1969:64].

Spearhead, iron, damaged, with closed socket, grave # 20, 5th c. BC.

7. **შუბისპირი**, რკინისა, დაზიანებული, მასრაშეკრული, პირის ფორმა არ იკითხება. აღმოჩნდა № 22 სამარხში. ძვ.წ. V ს. [ტყეშელაშვილი 1969:67 ტაბ. III,595].

Spearhead, iron, damaged, with closed socket, grave # 22, 5th c. BC.

5. **ცული**, რკინისა, აქვს შემაღლებული, ჩაქუჩისებური ყუა, ოვალური სატარე ხვრელი, ასიმეტრიული პირი. სიგრძე - 13,5 სმ. აღმოჩნდა № 6 სამარხში. ძვ.წ. V ს. [ტყეშელაშვილი 1969:48, ტაბ. V,140].

Battle-axe, iron, with slightly high, hammer-like butt and assymetrical cutting edge. H - 13,5 cm., grave # 6, 5th c. BC.

ჩხარი (რუკაზე № 92)
Ckhari (# 92 on the map)

სოფ. ჩხარში (თერჯოლის მუნიციპალიტეტი) შესწავლილია ახ.წ. II-III სს-ის “ოქონის გორის” სამაროვანი, სადაც გათხრილია 16 სამარხი. იარაღიანი სამარხების რაოდენობა - 5. მასალა ინახება თერჯოლის მუნიციპალურ მუზეუმში. ასევე სოფლის სასკოლო მუზეუმში დაცულია შემთხვევით მონაპოვარი ახ.წ. I-II სს-ის რკინის მახვილები.

In the v. Ckhari, at "Oqona Gora" cemetery 16 graves of 2nd-3rd cent. AD were excavated. Weapons were found in was 5. The artifacts are preserved at Terjola municipal Museum. Besides, iron swords of 1st-2nd cent. AD were casually found in the village. The artifacts are preserved at Ckhari school Museum.

1. **სატევარი**, რკინისა, ორპირლესული, დაზიანებული, გატეხილი, შემორჩენილია წვერი და ტარის ფრაგმენტი. აღმოჩნდა № 4 სამარხში [ბრაგვაძე 1997:9, 30-32, ტაბ. XV,1].

Dagger, iron, two sided, badly preserved, fragments of tip and hilt. Was found in grave #4.

2. **სატევარი**, რკინისა, დაზიანებული, გატეხილი, ყუნწის ნაშთი ვადასთან მოხრილია. აღმოჩნდა № 4 სამარხში [ბრაგვაძე 1997:9, 30-32, ტაბ. XV,2].

Dagger, iron, one sided, broken, the fragment of the hilt is curled near the cross-guard. Was found in grave #4.

3. **სატევარი**, რკინისა, ორპირლესული, წვერისკენ დავიწროვებული, ჭრილში რომბული, აქვს კარგად გამოკვეთილი პირი, ქედი და ტარი. სიგრძე - 25 სმ. აღმოჩნდა № 14 სამარხში [ბრაგვაძე 1997:30-32, ტაბ. XXVI,1].

Dagger, iron, two sided, the blade with midrib gradually narrows to the tip, cross guard is protruding. Length - 25 cm. Was found in grave #14.

4. **მახვილი**, რკინისა, ორპირლესული, გრძელი, ბრტყელი, წვერისკენ დავიწროვებული, საგანგებოდ მოხრილი, ჭრილში რომბული, დაბალი ქედით, ვადაზე ჩამოცმული ვიწრო გამოშვერილი მხრებით, სატარე ყუნწი ბრტყელი და ვიწრო. სიგრძე - 75 სმ. აღმოჩნდა № 0 სამარხში [ბრაგვაძე 1997:6-7, 30-32, ტაბ. X,2].

